



# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-93.932336025

თარიღი:26/12/2023

## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და „2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

### მუხლი 1

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოსთან შეთანხმების საფუძველზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა, რომელიც აჭარბებს არსებული საშტატო ნუსხის რიცხოვნობის 5% -ს, განისაზღვროს 13 ერთეული შრომითი ხელშეკრულებით.

### მუხლი 2

განკარგულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან.

### მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

